

## საერთო მონაცემები

### შპს „ლუკოილი - ჯორჯიასთვის“ სურვეიერული მომსახურების გაწევის შესახებ

1. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს ნავთობპროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის უწყვეტი კონტროლი ნავთობის ტანკერიდან ნავთობტერმინალზე, აგრეთვე ნებისმიერ (სარკინიგზო, საგზაო) სატრანსპორტო საშუალებებში, რომელსაც იყენებს შპს „ლუკოილი-ჯორჯია“ ბათუმის ნავთობტერმინალის ტერიტორიაზე. ნავთობბაზებზე მიღებისას, ნიმუშების აღება ხორციელდება უშუალოდ ნავთობბაზების ტერიტორიებზე სოფ. ძეგვში და ქ. ქუთაისში.
2. დამკვეთი აცნობებს შემსრულებელს ზღვით მოსაწოდებელი ტვირთების დაგეგმილი მოცულობების შესახებ ყოველთვიურად, მიღების წინა თვის 25 რიცხვამდე.
3. ტვირთების სარკინიგზო ტრანსპორტით მიღებისას, შემსრულებელი ღებულობს ინფორმაციას დამკვეთისგან სინჯების აღების საჭიროების შესახებ რა უგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
4. ტვირთის ტანკერის მეშვეობით ზღვით მიღებისას, შემსრულებელი ვალდებულია დაადგინოს ნაშთები ტერმინალის ტერიტორიაზე არსებულ იმ რეზერვუარებში, რომელსაც დამკვეთი იყენებს ტვირთის შესანახად და ეს ინფორმაცია დაუყონებლივ აცნობოს დამკვეთს. იმავდროულად, ტვირთის მიღებამდე, შემსრულებელი დამკვეთს აწვდის მონაცემებს ტვირთისათვის განკუთვნილ რეზერვუარებში არსებული საწვავის წარმომავლობისა და დასახელების თაობაზე. შემსრულებელი უზრუნველყოფს ტანკერიდან სინჯების აღებას და ადგენს ნავთობპროდუქტის რაოდენობას (აუცილებლად აფიქსირებს წყლის შემცველობას, მიღებული პროდუქტის სიმკვრივეს და ტემპერატურას). ტვირთის დამკვეთის საცავებში (რეზერვუარი, ავტოცისტერნა) განთავსების შემდეგ, შემსრულებელი უზრუნველყოფს ამ საცავების არასანქცირებული შეღწევადობის საწინააღმდეგო დალუქვას.
5. სარკინიგზო ტრანსპორტის შემთხვევაში, შემსრულებელი ახდენს ტემპერატურის, სიმკვრივისა და წყლის შემცველობის აზომვას თითოეულ სარკინიგზო ცისტერნაში, ასევე ახდენს შერეული სინჯის აღებას ყველა ვაგონცისტერნიდან (ე.წ. მიქსი).
6. შემსრულებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს ჩაატაროს დამკვეთის საკუთრებაში ნავთობტერმინალზე არსებული ნავთობპროდუქტების ინვენტარიზაცია და 24 საათის განმავლობაში ღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს დამკვეთს.
7. შემსრულებელი ვალდებულია მოახდინოს დამკვეთის ინფორმირება ნავთობპროდუქტების ნებისმიერი გადაადგილების შესახებ (ტანკერიდან რეზერვუარში, რეზერვუარიდან ვაგონცისტერნაში და სხვა). შემსრულებელი ვალდებულია ამზადებდეს და წარუდგენდეს დამკვეთს ხარისხიან ანგარიშგებას ნავთობპროდუქტების გადაადგილების შესახებ.
8. ნავთობპროდუქტის ხარისხის კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს შემსრულებელს საკუთრებაში მყოფი სერტიფიცირებული ლაბორატორიის მიერ.
9. შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს აზომვებისას გამოვლენილი ყველა შეუსაბამობის შესახებ.
10. აღნიშნული სამუშაოების საწარმოებლად შემსრულებელს უნდა ყავდეს კვალიფიცირებული თანამშრომლები.
11. შემსრულებლის საქმიანობა უნდა იყოს ლიცენზირებული.

12. შემსრულებელს უნდა გააჩნდეს სურვეიერული სამუშაოების წარმოების არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება.

ტექნიკური სპეციფიკაცია:

1. შემსრულებელი ვალდებულია:
  - აილოს სინჯები და განახორციელოს საწვავის რაოდენობის და პარამეტრების აზომვები ყველა ავზში.
  - საავტომობილო ბენზინისთვის - სიმკვრივე, ოქტანის რიცხვი, შემცველობა გოგირდის, ტყვიის, არომატიკების, ბენზოლის.
  - დიზელის საწვავისთვის - სიმკვრივე, ცეტანის რიცხვი, შემცველობა გოგირდი, პოლიციკლური არომატიკების
2. მონაცემები ჩატარებული აზომვების შესახებ მიწოდებული უნდა იყოს დამკვეთისთვის 24 საათის განმავლობაში.
3. ნავთობპროდუქტების რკინიგზით ტრანსპორტირებამდე შემსრულებელი ვალდებულია შეამოწმოს წარმოდგენილი ვაგონ-ცისტერნების სისუფთავე. ვაგონ-ცისტერნებში უცხო მინარევების არსებობის შემთხვევაში და მათში სხვა პროდუქტების გადაზიდვის კვალის არსებობისას, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ დამკვეთს და გაგზავნაზე პასუხისმგებელ პირს ნავთობტერმინალზე.
4. ვაგონ-ცისტერნებში სინჯების აღება ხორციელდება შემდეგი სქემით: სინჯი აღება თითოეული ვაგონ-ცისტერნიდან. საავტომობილო ბენზინისთვის ტარდება აზომვები: სიმკვრივე, ოქტანის რიცხვი, შემცველობა გოგირდის, ტყვიის, არომატიკების, ბენზოლის. დიზელის საწვავისთვის ტარდება აზომვები: • დიზელისთვის: სიმკვრივე, ცეტანის რიცხვი, შემცველობა გოგირდი, პოლიციკლური არომატიკების. სარკინიგზო შემადგენლობის გაგზავნისას შემსრულებელი ვალდებულია დალუქოს ყველა ვაგონ-ცისტერნა ისე რომ ვაგონ-ცისტერნების არასანქცირებული გახსნა გამორიცხული იყოს. დალუქვის პროცედურების არასათანადო ხარისხით შესრულებისას, ოფიციალური პრეტენზიის წარმოდგენის შემთხვევაში, დამკვეთზე მიყენებული ზარალი ანაზღაურებული უნდა იყოს შემსრულებლის მიერ.
5. თითოეული აღებული სინჯის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1,5 ლიტრს და უნდა ინახებოდეს 90 დღის განმავლობაში.
6. შემსრულებელი ვალდებულია აწარმოოს საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის და მოქმედი ნორმატივების მკაცრი დაცვით.
7. შემსრულებელს უნდა ქონდეს შესაძლებლობა აწარმოოს ნავთობპროდუქტების გამოცდები დამკვეთის ნავთობბაზებზე.

ვაჭრობა გაიმართება:

1. 1 ნავთობგადამზიდ ტანკერში ნავთობპროდუქტის რაოდენობრივი ინსპექტირების ღირებულებაზე;
2. 1 მიწისზედა ავზში ნავთობპროდუქტის რაოდენობრივი ინსპექტირების ღირებულებაზე;
3. 1 მეტრული ტონა ნავთობპროდუქტის რაოდენობრივი ინსპექტირების ღირებულებაზე სარკინიგზო გზით ტრანსპორტირებისას;
4. დასახლებული პუნქტის გარეთ მგზავრობის 1კმ ღირებულებაზე (ძეგვი, ქუთაისი, ნებისმიერი ნავთობბაზა);
5. დიზელის ძირითადი ანალიზების ჯამურ ღირებულებაზე - სიმკვრივე, ცეტანის რიცხვი, შემცველობა გოგირდი, პოლიციკლური არომატიკების;
6. ბენზინის ძირითადი ანალიზების ჯამურ ღირებულებაზე - სიმკვრივე, ოქტანის რიცხვი, შემცველობა გოგირდის, ტყვიის, არომატიკების, ბენზოლის.

*ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს აშშ დოლებში დღგ-ს გარეშე.*